№4

# ხელშეკრულება №11/13

ზუგდიდი 18 თებერვალი 2013წ.

ერთის მხრივ, სსიპ განმუხურის საჯარო სკოლა (ს/კ 220373593) წარმოდგენილი მისი დირექტორის ზურაბ ჯოლოგუას სახით, შემდგომში „დამკვეთად“ წოდებული და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „სტანდარტ-აუდიტი“, შემდგომში „შემსრულებლად“ წოდებული, მისი დირექტორის ბესიკ ყუფუნიას სახით დებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## I. ხელშეკრულების საგანი და შესრულების ვადა

1.1 ხელშეკრულების საგანი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სსიპ სოფელ განმუხურის საჯარო სკოლაზე უვადო სარგებლობის უფლებით გადაცემული ქონებიდან, იჯარით გასაცემი არასაცხოვრებელი ფართის (ბუფეტი 42 კვ.მ),შეფასება და წლიური საიჯარო ქირის განსაზღვრა.

1.2 მომსახურების გაწევის ვადა იწყება ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღიდან 2013 წლის 18 თებერვალს და მთავრდება 2013 წლის 26 თებერვალს.

## II. მხარეთა უფლებები, ვალდებულებები და პასუხისმგებლობა

2.1 მხარეთა უფლებები, ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განისაზღვრება მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად.

2.2 ნებისმიერ მხარეს შეუძლია წინასწარ გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებით შეაჩეროს ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტს.

2.3 „დამკვეთის“ მიერ ხელშეკრულების შეჩერების შემთხვევაში იგი ვალდებულია „შემსრულებელს“ აუნაზღაუროს სახელშეკრულებო თანხა შესრულებული სამუშაოს მიხედვით და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი.

2.4 „დამკვეთს“ ეკისრება პასუხისმგებლობა აუდიტორიისათვის წარდგენილი მასალების სისწორეზე.

2.5 „შემსრულებელს“ უფლება აქვს მიიღოს დამკვეთის, ან მესამე პირების ხელთ არსებული ყველა საჭირო დოკუმენტი, რომელიც შეეხება აუდიტის საგანს.

2.6 „შემსრულებელი“ ვალდებული საიდუმლოდ შეინახოს აუდიტორული მომსახურების დროს მიღებული ინფორმაცია, არ გაახმაუროს საიდუმლოების შემცველელი ცნობები, არ გამოიყენოს ისინი თავისი, ან მესამე პირის ინტერესებისათვის.

2.7 „შემსრულებლის“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში „შემსრულებელს“ ეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და „დამკვეთთან“ დადებული ხელშეკრულების ფარგლებში.

2.8 „შემსრულებლის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში „შემსრულებლს“ შეიძლება, ნაწილობრივ ან სრულად დაუკავდეს 3.1 პუნქტით განსაზღვრული თანხა.

## III. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

3.1 მომსახურების ღირებულება განისაზღვრება 100(ასი) ლარით.

3.2 ანგარიშსწორების წესი: უნაღდო

3.3 თანხის გადახდა ხდება სამუშაოს შესრულებიდან ------- დღის განმავლობაში.

3.4 „დამკვეთის“ მიერ ანაზღაურების პირობების დარღვევის შემთხვევაში იგი უხდის „შემსრულებელს“ საურავს ამ დაკვეთის ღირებულების ------- %ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

## IV. სამუშაოთა მიღება - ჩაბარების წესი

4.1 „დამკვეთი“ ვალდებულია დასრულებული სამუშაო განიხილოს, თანხმობის შემთხვევაში დგება აუდიტორიული დასკვნის მიღება–ჩაბარების აქტი და ხდება მისი ხელმოწერა სათანადო წესით. ეს უკანასკნელი ხელმოწერის დღიდან ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

4.2 „შემსრულებელს“ უფლება აქვს ჩააბაროს დასრულებული სამუშაო ვადაზე ადრე.

79200000

## V. ფორს-მაჟორული გარემოებები

5.1 ხელშეკრულების პირობების, ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, არასათანადოდ შესრულება ან დარღვევა და არ გამოიწვევს ზიანის ანაზღაურებას.

5.2 ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „ დამკვეთისა და/ან „შემსრულებლის"შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, ხანძრით, წყალდიდობით, მიწისძვრით ან სხვა სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა. ასეთ შემთხვევაში მოხდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების გადატანა ფორს-მაჟორული გარემოების შეწყვეტამდე.

5.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა აცნობოს წერილობით მეორე მხარეს ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

## V. დავის გადაჭრის წესი

6.1 ამ ხელშეკრულების შესრულების დროს მხარეებს შორის წარმოშობილი დავა უნდა გადაიჭრას მოლაპარაკების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს.

## VI. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

5.1 ამ ხელშეკრულების დამატებები და ცვლილებები შეიძლება შეტანილ იქნეს წერილობითი ფორმით და ძალაში შედის მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერის დღიდან.

5.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, ერთი რჩება დამკვეთს, მეორე ინახება შემსრულებელთან.

## მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა

| „შემსრულებელი" | „დამკვეთი" |
| --- | --- |
| შ.პ.ს „სტანდარტ-აუდიტი" ს.ნ 220 412 060 | ზუგდიდის მუნიციპალიტეტი სსიპ სოფელ |
| ზუგდიდი, ვაჟა ფშაველას 26 | განმუხურის საჯარო სკოლა (ს/კ 220373593) |
| ს/ს საქართველოს ბანკი | ს/ს ლიბერთი ბანკი |
| ანგ. №GE82BG0000000262702300 | ბანკის კოდი №LBRTGE22 |
| ბანკის კოდი BAGAGE22 | ანგ. №GE15LB0121183042580000 |
| დირექტორი: ----------------- /ბ. ჩუფუნია/ | დირექტორი: ---------------------- /ზ. ჯოლოგუა/ |